სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

რა გამოწვევებია საარსებო შემწეობის სისტემაში და რა ცვლილებების განხორციელებაა აუცილებელი?

სოციალური დაცვის რომელ მექანიზმებს უგულებელყოფს სისტემა?

საქართველოში სოციალური მხარდაჭერის არაერთი სერვისი ფუნქციონირებს, თუმცა ქვეყანაში ერთიანი, ჰარმონიზებული და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემა არ არსებობს.

სამწუხაროდ, სოციალური დაცვის სისტემა ჯერ კიდევ არ ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან მექანიზმს, როგორიცაა უმუშევრობის დაზღვევა. ამგვარი ბენეფიტი, სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში, სიღარიბეში აღმოჩენისგან არაერთ ადამიანს დაიცავდა. ასევე, საქართველოში ამ დრომდე არ არსებობს საცხოვრისის პოლიტიკა, რომელიც ადამიანების ღირსეულ პირობებში ცხოვრებას დაისახავდა მიზნად.

ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სოციალური დაცვის სერვისები

ქვეყანაში სოციალური დაცვის ცალკეული სერვისები ცენტრალურ დონეზე, ზოგიერთი კი – მუნიციპალურ დონეზე მოქმედებს.

თუმცა, სოციალური დაცვის ამჟამინდელი სისტემა, უმეტესწილად, ორ პროგრამაზე – საარსებო შემწეობასა და ასაკობრივ პენსიაზე, დგას.

ცენტრალური სერვისები	მუნიციპალური სერვისები
საარსებო შემწეობა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის	მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა
სოციალური პაკეტი (მაგ., შშმ პირისთვის, ვეტერანებისთვის და სხვ.)	მუნიციპალური სუბსიდია კომუნალურ გადასახადებზე ან/და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე
დევნილის სტატუსის მქონე პირთა შემწეობა	უსახლკაროთა საცხოვრისის სერვისით უზრუნველყოფა
შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისთვის	ერთჯერადი ან მრავალჯერადი ფულადი დახმარება სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის (მაგ., ბავშვები, ხანდაზმულები, შშმ პირები)

სოციალურად დაუცველის ქულის მნიშვნელობა

საარსებო შემწეობის სისტემა საქართველოში 18 წელია არსებობს. იგი სპეციალური მეთოდოლოგიისა და ფორმულის გამოყენებით, ოჯახების სოციალურ – ეკონომიკურ კეთილდღეობას ზომავს და მათ შესაბამის ქულას ანიჭებს.

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს კანონით დადგენილ ზღვარზე ნაკლები ქულა მიენიჭა, ყოველთვიურად საარსებო შემწეობას მიიღებს. უფრო ზუსტად:

- თუ ოჯახმა 65 001-ზე ნაკლები ქულა მიიღო, მაშინ ოჯახის ყველა წევრს დაენიშნება შემწეობა;
- თუ ოჯახის მიერ მიღებული ქულა 65 001-სა და 120 000-ს შორის მერყეობს, მაშინ ოჯახის მხოლოდ 16 წლამდე წევრი მიიღებს შემწეობას.

მინიჭებული ქულა ოჯახისთვის არა მხოლოდ საარსებო შემწეობის მიღებას განაპირობებს, არამედ იგი სხვა არაერთი მუნიციპალური სოციალური პროგრამით სარგებლობის წინაპირობაცაა.

2023 წლისთვის, საქართველოს 62 მუნიციპალიტეტი სოციალური დაცვის ერთ ან რამდენიმე სერვისში ჩართვის წინაპირობად სოციალურად დაუცველის სტატუსსა და შესაბამის ქულას განსაზღვრავდა.

შესაბამისად, იმ ოჯახების ნაწილი, რომლებიც შესაძლოა, სახელმწიფოსგან მხარდაჭერას საჭიროებენ, თუმცა არასაკმარისი ქულა აქვთ, მინიმალური სერვისების (მაგ., უფასო სასადილო, შინმოვლის მომსახურება, ერთჯერადი ფულადი დახმარება) მიღმა რჩებიან.

სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობა

შესაბამისი ქულის მინიჭების და საარსებო შემწეობის მიღების წინაპირობა ოჯახის მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიმართვა და სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციაა.

სოციალურად დაუცველთა ბაზაში ქვეყნის მოსახლეობის მესამედზე მეტი – 1 252 114 ადამიანია რეგისტრირებული*. ეს ქვეყნისთვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2016 წლის აგვისტოს შემდეგ.

მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულთა წილი (%)



* 2024 წლის აგვისტოს მდგომარეობით

საარსებო შემწეობის მიმღებთა ოდენობა

საარსებო შემწეობას საქართველოს მოსახლეობის 18 %-ზე მეტი, ანუ 680 833 ადამიანი, იღებს*. ეს მაჩვენებელი ისტორიული მაქსიმუმია.

შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობის ზრდა, ერთი მხრივ, სისტემის მიერ მოწყვლადი მოსახლეობის უკეთესი დაფარვით, ხოლო, მეორე მხრივ, მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით შეიძლება აიხსნას.

შემწეობის მიმღებთა წილი (%)



*** 2024 წლის აგვისტოს მდგომარეობით**

ასაკობრივი ჯგუფები საარსებო შემწეობის სისტემაში

საქართველოში 266 196 ბავშვი საარსებო შემწეობას იღებს.* ეს რიცხვი არასრულწლოვნების საერთო რაოდენობის 31.6 %-ია. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში ფაქტობრივად ყოველი მესამე ბავშვი საარსებო შემწეობას იღებს.

ბავშვებისგან განსხვავებით, ნაკლებია სისტემაში ჩართული ხანდაზმულების რაოდენობა. საქართველოში 60 წელზე მეტი ასაკის ადამიანების საერთო რაოდენობის მხოლოდ 12.7% (107 434 ადამიანი) იღებს საარსებო შემწეობას, რაც გვაფიქრებინებს, რომ სისტემა ამ ჯგუფის სოციალურ – ეკონომიკურ მოწყვლადობას სათანადოდ ვერ ხედავს.

* 2024 წლის აგვისტოს მდგომარეობით

საარსებო შემწეობის სტატისტიკა მუნიციპალიტეტებში

როგორც ითქვა, საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი მთელი ქვეყნის მასშტაბით საერთო მოსახლეობის 18 %-ზე მეტს შეადგენს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუმცა კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში ვითარება კიდევ უფრო მძიმეა. ქვეყნის 64 მუნიციპალიტეტიდან 14-ში საარსებო შემწეობის მიმღებთა წილი ამ მუნიციპალიტეტების მოსახლეობის 1/3-ს აღემატება. მეტიც, საქართველოს 4 მუნიციპალიტეტში შემწეობის მიმღებთა წილი მათი მოსახლეობის ნახევარს აჭარბებს.

მუნიციპალიტეტები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის 1/3-ზე მეტი იღებს საარსებო შემწეობას*

* 2024 წლის აგვისტოს მდგომარეობით

როგორ ხდება ოჯახის შეფასება და ქულის მინიჭება?

ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და ქულის მინიჭება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგება:

ოჯახი წარადგენს განაცხადს სოციალური მომსახურების სააგენტოში.

→

განაცხადის გაკეთებიდან 1 თვის ვადაში, სოციალური აგენტი მიდის ოჯახში შესაფასებლად.

↓

სოციალური აგენტის მიერ ოჯახის ოჯახის შესახებ ინფორმაცია იტვირთება შესაბამის პროგრამაში, რომელიც მონაცემებს მასთან დაკავშირებულ სისტემებშიც ამოწმებს.

↓

პროგრამა ითვლის შინამეურნეობის კეთილდღეობის ქულას.

↓

კანონმდებლობით გათვალისწინებული ქულის მიღების შემთხვევაში, ოჯახს ეძლევა საარსებო შემწეობის მიღების უფლება, ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტო მასთან სპეციალურ ხელშეკრულებას აფორმებს.

რატომ არ ერთვებიან სიღარიბეში მცხოვრები ოჯახები საარსებო შემწეობის სისტემაში?

გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევის მიხედვით, სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები პირების 33 % სახელმწიფოს შეფასებისა და შესაბამისი ქულის მინიჭებისათვის არ მიმართავს.

მიზეზები, რის გამოც ოჯახები თავს იკავებენ მხარდაჭერის მოთხოვნისგან, შემდეგია:



- **თხოვნის დაკმაყოფილების იმედი არ აქვს, ან ადრე ასეთ თხოვნაზე უარი მიიღო**
- **განაცხადის შეტანა გაუჭირდა, რადგანაც დოკუმენტები წესრიგში არ ჰქონდა, არ იცოდა, ვისთვის მიემართა ან ენობრივმა ბარიერმა შეაფერხა**
- **დახმარება არ სჭირდებოდა ან მისი მიღება დამამცირებელი იყო მისთვის**
- **სხვა მიზეზი/პასუხის გაცემა გაუჭირდა.**

რამდენად ფარავს საარსებო შემწეობის სისტემა სიღარიბეში მცხოვრებ მოსახლეობას?

იქიდან გამომდინარე, რომ ქულის გამოთვლა სპეციალური კომპიუტერული პროგრამით ხდება, ერთი შეხედვით, მიკერძოებულობა მაქსიმალურად გამორიცხულია, შესაბამისად, არის მოლოდინი, რომ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ობიექტურად მოხდება.

სინამდვილეში, ისევე, როგორც საჭიროებების შეფასებაზე დაფუძნებულ ყველა სისტემას, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამასაც ახასიათებს ჩარიცხვის და ამორიცხვის შეცდომები. შედეგად, საარსებო შემწეობის მიღმა შეიძლება დარჩეს ოჯახი, რომელსაც დახმარება სჭირდება, და პირიქით – განაცხადი დაუკმაყოფილდეს ოჯახს, რომელსაც ამგვარი საჭიროება არ აქვს.

ამასვე ადასტურებს რამდენიმე კვლევაც. მაგალითად, გაეროს ბავშვთა ფონდის მიხედვით, რომელიმე ტიპის სოციალურ დახმარებას (საარსებო შემწეობა, თუ სხვა ტიპის დახმარება, მაგ., შშმ პირის სოციალური პაკეტი) შინამეურნეობების უღარიბესი მეათედის (დეცილის) 76% იღებდა, ხოლო მეორე დეცილიში მყოფი ოჯახებიდან, მხოლოდ 39% სარგებლობდა სოციალური დაცვის რომელიმე ტიპის დახმარებით.

საარსებო შემწეობის სისტემის მეთოდოლოგიური ხარვეზები

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც სიღარიბეში მცხოვრები ოჯახები სისტემის მიღმა რჩებიან, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და ქულის მინიჭების მეთოდოლოგიაა.

წლების განმავლობაში, ქულების დათვლის მეთოდოლოგია რამდენჯერმე გადაიხედა, თუმცა იგი ადამიანების რეალურ საჭიროებებს ბოლომდე კვლავ ვერ ხედავს.

მაგალითად, ქულის დათვლის დროს მხედველობაში მიიღება:

- კომუნალური გადასახადები, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხარჯი, შესაძლოა, საბაზისო საჭიროებებზე, მაგალითად, საკვებზე, უარის თქმის ხარჯზე იყოს გაღებული;
- მიწის ნაკვეთის არსებობა, თუმცა ის არ არის გათვალისწინებული, რომ მისი დამუშავების და განკარგვის შესაძლებლობა მარტოხელა ხანდაზმულს შესაძლოა არ ჰქონდეს;
- ოჯახში წლების წინ დაგებული პარკეტის არსებობა და ა.შ.

სისტემის მიღმა დარჩენილი ჯგუფები

მეთოდოლოგიის მოუქნელობისა და ხარვეზების გათვალისწინებით, სიღარიბეში მცხოვრები არაერთი ოჯახი მხარდაჭერის გარეშე რჩება. სისტემიდან გარიყულთა შორის არიან ისეთი ჯგუფები, როგორიცაა, მაგალითად:

- ქუჩაში მცხოვრები ადამიანები, მხოლოდ იმის გამო, რომ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნიათ;
- შშმ პირები, რომლებსაც, ხარვეზიანი სისტემის გამო, შესაძლოა, ფორმალურად შშმ პირის სტატუსი არ ჰქონდეთ;
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ენობრივი ბარიერების გათვალისწინებით;
- იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებსაც უწევთ, გააკეთონ არჩევანი საარსებო შემწეობასა და დევნილთათვის განკუთვნილ შემწეობას შორის.

1 წლიანი ლოდინი ხელახალ შეფასებამდე

ქულის მინიჭების ხარვეზიანი მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, აუცილებელია, ოჯახს ჰქონდეს ხელახალი შეფასების მოთხოვნის უფლება.

დღეს არსებული სიტუაცია კი საპირისპიროა. რეგულაციების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ სოციალურმა აგენტმა ფორმალურად სწორად შეავსო ოჯახის შეფასების დეკლარაცია, თუმცა კომპიუტერულმა სისტემამ მისი სიღარიბე ვერ დაინახა, გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს უწევთ, ხელახალ შეფასებას ერთი წელი დაელოდონ.

განმეორებითი შეფასების მოლოდინში, ოჯახი, შესაძლოა, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს და მისი ფიზიკური გადარჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.

სისტემის მიერ ადამიანის დასჯა წესების დარღვევისა თუ პროგრამის ნებაყოფლობით დატოვებისთვის

სისტემა სჯის ადამიანსაც, რომელიც ფორმალურად დადგენილ წესებს დაარღვევს, მიუხედავად იმისა, თუ რა საჭიროება შეიძლება ჰქონდეს მას:

- შეფასებისას ყალბი ან/და არასწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, ოჯახი მონაცემთა ბაზიდან ამორიცხვის ან/და ერთი წლის განმავლობაში განმეორებით რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების ჩამორთმევის წინაშე დგება;
- თუ ოჯახის წევრი ერთი თვის მანძილზე სააგენტოს არ მიაწვდის ინფორმაციას ოჯახში ცვლილების (მაგ., ოჯახის წევრთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები, ოჯახის მუდმივი საცხოვრებლის ცვლილება) შესახებ, სააგენტო უფლებამოსილია, ოჯახს შეუწყვიტოს საარსებო შემწეობის გაცემა, შეუწყვიტოს ან/და აუკრძალოს მომდევნო ერთი წლის განმავლობაში მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია.

სისტემა უკან აღარ იღებს იმ ადამიანებსაც, რომლებმაც თავიანთი ნებით თქვეს უარი შემწეობაზე. კერძოდ, არსებული რეგულაციების მიხედვით, სოციალური მომსახურების სააგენტოს აქვს უფლება, უარი განაცხადოს შეფასებაზე იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს თავისი მოთხოვნით შეუწყდა მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია და ამ მოთხოვნიდან ერთი წელი არ არის გასული.

საარსებო შემწეობის სიმწირე

იმ ადამიანებსაც კი, რომლებიც ჩართულნი არიან საარსებო შემწეობის სისტემაში, სახელმწიფო ღირსეული მხარდაჭერით ვერ უზრუნველყოფს.

16 წელს გადაცილებული პირებისთვის შემწეობის ოდენობა ყოველთვიურად 30-60 ლარს შეადგენს, რაც მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობასაც კი არ იძლევა. შემწეობა საარსებო მინიმუმსაც (250 ლარი) მნიშვნელოვნად ჩამორჩება და მისი ოდენობა 2015 წლის შემდგომ არ გაზრდილა.

16 წლამდე ბავშვებისთვის შემწეობა 200 ლარია, თუმცა აღნიშნული ოდენობაც საარსებო შემწეობაზე ნაკლებია.

სისტემაში წლობით დარჩენილი ადამიანები

საარსებო შემწეობის სიმწირისა და მოსახლეობის ეფექტიანი მხარდაჭერის მექანიზმების არარსებობისა თუ არასაკმარისობის პირობებში, მაღალია სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის სისტემაზე დამოკიდებულების ხარისხი. ამასვე მოწმობს სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკაც. 2023 წლის ივნისის მდგომარეობით, საარსებო შემწეობის მიმღებთა თითქმის ნახევარი – ბენეფიციართა 47% სისტემაში 5 წელზე მეტხანს რჩება; ხოლო ათასობით ადამიანი შემწეობას 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იღებდა. საარსებო შემწეობის სისტემაში 5 წელზე მეტი დროით მყოფი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის წილი არაერთ მუნიციპალიტეტში საგანგაშოდ მაღალია.



* 2023 წლის ივნისის მდგომარეობით

რა მიზანს ემსახურება საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამა?

2022 წელს სოციალური დაცვის არსებულ სისტემაში ახალი ინსტრუმენტი, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამა, გაჩნდა, რომელიც სოციალურად დაუცველი პირების სახელმწიფოს/ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ სამუშაო ადგილებზე დასაქმებას გულისხმობს.

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამის შემოღების ერთ-ერთი მიზანი სწორედ სოციალური დაცვის სისტემაზე მოსახლეობის მაღალი დამოკიდებულების შემცირება იყო.

სხვადასხვა მონაცემით, საარსებო შემწეობის მიმღებთა მესამედზე მეტი შრომისუნარიანი პირია. შესაბამისად, საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამამ შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი მოქალაქეების ეკონომიკური გააქტიურება და მათი დასაქმების წახალისება განიზრახა. თუმცა, იგი ნაკლებად კონცენტრირდა ხანგრძლივვადიანი უმუშევრობის შემთხვევებსა და იმ ჯგუფებზე, რომლებსაც დასაქმებაში სტრუქტურული ბარიერები უშლით ხელს (მაგ., ქალები, რომლებსაც შინ ზრუნვის ტვირთი აქვთ).

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული პირებისთვის ნათელი არ არის, თუ რა არის ამგვარი დასაქმების საბოლოო მიზანი და პროგრამა არ ითვალისწინებს მასში ჩართული ადამიანების უნარების გაუმჯობესების ინსტრუმენტებს.

შექმნილი სამუშაო ადგილების ტიპის (მაგ., სანიტარული სამუშაოები) და მოცდენის მაღალი მაჩვენებლის გამო, ამ დრომდე საეჭვოა, რამდენად აქვს პროგრამას პოტენციალი, ხელი შეუწყოს სოციალურად დაუცველების დასაქმების ღია ბაზარზე.

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის რისკები

გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივი სამუშაოებზე დასაქმების პროგრამის როლი მოსახლეობის შემწეობაზე დამოკიდებულების შემცირებაში ბუნდოვანია, გამოიკვეთა მმართველი პარტიის მიერ პროგრამის პარტიული მიზნებისთვის გამოყენების რისკები.

პროგრამის აღსრულების პროცესში გამოკვეთილი ისეთი ჩავარდნები, როგორიცაა, პროგრამის პირობების და ვადის განუჭვრეტელობა თავად მასში ჩართული პირებისთვის, პოლიტიკური მანიპულაციების მიმართ მათი მოწყვლადობის ხარისხს კიდევ უფრო ზრდის.

გარდა ამისა, თავად ის გარემოება, რომ არსებობს ეჭვები ვაკანსიების ნაწილის ფიქტიურობასთან დაკავშირებით, ქმნის დამატებით რისკებს პროგრამის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზებისთვის. თუ ადამიანს აქვს განცდა, რომ "ფულს არაფრისთვის უხდიან", სავარაუდოა, რომ ხელისუფლების მიმართ მისი ლოიალობის ხარისხი უფრო მაღალი იქნება. სხვადასხვა წყარო მიუთითებს, რომ პროგრამაში ჩართული სოციალურად დაუცველი პირების ნაწილი ავლენს განსაკუთრებულ მადლიერებას მმართველი პარტიის მიმართ.

რა უნდა შეიცვალოს სისტემაში მოკლევადიან პერსპექტივაში?

ზემოაღნიშნული გამოწვევებიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა შეიცვალოს არსებული სისტემა ისე, რომ მოერგოს მოსახლეობის საჭიროებებს და უფლებების დარღვევის რისკები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

მოკლევადიან პერსპექტივაში, სისტემა იმგვარად უნდა შეიცვალოს, რომ, მაგალითად,

- ქუჩაში მცხოვრებ პირებს მიეცეთ საარსებო შემწეობით სარგებლობის შესაძლებლობა;
- აღმოიფხვრას ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებული ენობრივი ბარიერები სახელმწიფო უწყებებში თარჯიმნის სერვისის შემოღებით;
- მეთოდოლოგიამ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიანიჭოს ისეთ ცვლადებს (მაგ., პარკეტი, კომუნალური გადასახადები), რომლებიც ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას ნაკლებად რელევანტურია;
- სოციალურად დაუცველის სტატუსი და შესაბამისი ქულა მუნიციპალურ სოციალურ სერვისებში ჩართვის სავალდებულო წინაპირობად არ უნდა იყოს განსაზღვრული;
- 16 წლამდე ბავშვებისათვის განკუთვნილი გასაცემელი გავრცელდეს ყველა არასრულწლოვანზე (18 წლამდე პირზე).

რა უნდა შეიცვალოს სისტემაში გრძელვადიან პერსპექტივაში?

გრძელვადიან პერსპექტივაში, არსებული სისტემა იმგვარად უნდა გარდაიქმნას, რომ გაითვალისწინოს მოსახლეობის ინდივიდუალური საჭიროებები. მათ შორისაა,

- სისტემური ხედვის შემუშავება, რომელიც მოსახლეობის სოციალური საჭიროებების სიღრმისეულ კვლევას დაეფუძნება;
- მოსახლეობის კეთილდღეობის შეფასების ალტერნატიული მეთოდების დანერგვა, რომელიც დაეფუძნება არა საჭიროებების, არამედ შესაძლებლობების შეფასებას (ე.წ. "სიმდიდრის ფილტრების" გამოყენება). ეს გულისხმობს სახელმწიფოს მხარდაჭერას ყველა პირისთვის, გარდა მაღალშემოსავლიანი ჯგუფებისა;
- უნივერსალური ბენეფიტების დანერგვა სხვადასხვა ჯგუფებისთვის (მაგ., შშმ პირები და ბავშვები). ამ მოდელის მიხედვით, მხარდაჭერის ღონისძიებები გავრცელდება კონკრეტული კატეგორიის წარმომადგენელ ყველა პირზე, მაგალითად, ყველა ბავშვზე;
- ცალკეული ჯგუფებისათვის (მაგ., მარტოხელა მშობლებისთვის) საგადასახადო შეღავათების სისტემის დანერგვა/გაფართოება.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თუ გსურს, გაიგო მეტი

პუბლიკაცია მოამზადა სოციალური სამართლიანობის ცენტრმა USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.